ხელშეკრულება N 11

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სოფელი წაღვლი

17.04. 2015 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ დევაძის სახით, და მეორეს მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე ნუგზარ ბარბაქაძე**(შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით **2015 წლის 18 აპრილს ქალაქ ხაშურის N 1 საჯარო სკოლაში მე-11 კლასის მოსწავლეების ტრანსპორტით** მომსახურების შესყიდვა **CPV60100000** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება **(70 (სამოცდაათი)** ლარით.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ..

**5. მხარეთა უფება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

**6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდიბულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა).
6.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მაიდგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
6.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
6.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

**7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

7.1. ხელშეკრულებ ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2015 წლის 11 მაისის ჩათვლით.

**8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის,ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თვიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე,თუ ეს შეუსრუებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები,აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ზელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება,კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაზლებელია გადაწყვეტილი იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარლელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. სხვა პირობები

12.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი „შემსყიდველს, ერთი „მიმწოდებელს"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5.წინამდებარე ხელშეკრულეის ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

*შემსყიდველი:*

*სსიპ ბროლოსნის საჯრო სკოლა*
*ქ.ხაშური,სოფელი ბროლოსანი*
*საიდენტიფიკაციო კოდი 243874839*
*სს ლიბერთიბანკის ხაშურის ფილიალი*
*ბანკის კოდი LBRTGE22*
*ა/ა GE14LB0121118114195000*
*სკოლის დირექტორი-----------------მიხეილ ღვევაძე*

*შემსრულებელი*

*ინდივიდუალური მეწარმე ნუგზარ ბარბაქაძე*
*ხაშური, სოფელი წაღვლი*
*საიდენტიფიკაციო კოდი 57001008616*
*სს ლიბერთი ბანკი*
*ბანკის კოდი LBRTGE22*
*ა/ა GE97LB0620035360221022*9
*ინდივიდუალური მეწარმე-----------------------------------------ნუგზარ ბარბაქაძე*

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ხაშური

20 .04. 2015 წელი

ერთი მხრივ სსიპ ბროლოსნის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მიხეილ დევაძე, მეორე მხრივ ინდ.მეწარმე ნუგზარ ბარბაქაძე წინამდებარე აქტით ვადასტურებთ,რომ 2015 წლის 17 აპრილს დადებული ხელშეკრულება N11-ის თანახმად,შემსრულებელმა განახორციელა მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

აქტს ვადასტურებთ ხელის მოწერით

შემსყიდველი:

სსიპ ბროლოსნის საჯრო სკოლა
ქ.ხაშური,სოფელი ბროლოსანი
საიდენტიფიკაციო კოდი 243874839
სს ლიბერთიბანკის ხაშურის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE14LB0121118114195000
სკოლის დირექტორის მ/შ ----------------------------------------მიხეილ დევაძე

შემსრულებელი

ინდივიდუალური მეწარმე ნუგზარ ბარბაქაძე
ხაშური, სოფელი კლდისწყარო
საიდენტიფიკაციო კოდი 57001008616
სს ლიბერთი ბანკის ხაშურის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE97LB0620035360210229
ინდივიდუალური მეწარმე----------------------------------------ნუგზარ ბარბაქაძე